ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 7

ქ. ლანჩხუთი **23. 10. 2023 წელი**

11.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, ელისო ჭიჭინაძე, დარეჯან ბურჭულაძე, მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი **მაია აფხაზავა,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 12 სექტემბრის V 2 23 00026382 წერილის საფუძველზე. მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში, „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს 17 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. **შოთა ჩაგუნავამ** აგრეთვე აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ელისო ჭიჭინაძე დაინტერესდა, თუ რა ინფორმაციას ფლობს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სფერო ჰოლდინგის საქმიანობასთან დაკავშირებით, რაზეც **შოთა ჩაგუნავამ** გააკეთა განმარტება და თქვა, რომ სასამართლოში მიმდინარეობს 2 დავა აღნიშნული ჰოლდინგის წინააღმდეგ. მათ ააქვთ მიწა საკუთრებაში, მაგრამ არც ერთ მშენებლობაზე არა აქვთ ნებართვა. ისინი ერთ-ერთ ნაკვეთზე აპირებენ 50 სართულიანი სასტუმროს აშენებას, რაც არ ჯდება გრიგოლეთის განაშენიანების გეგმაში.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში" განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ,** რომელმაც განმარტა, რომ ეს არის პროექტი, რომელიც ევროკავშირის გრანტით არის წარმოდგენილი, რაც სოფელ ჩიბათში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას და სრულყოფას გულისხმობს. დაგეგმილია 5 ერთეული „კაიაკის" შეძენაც. ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დონორი ორგანიზაციის (Id) მოთხოვნაა განკარგულებაში დაფიქსირდეს მუნიციპალიტეტის მზაობა პროექტის თანადაფინანსებაზე, რაც იმას გულისხმობს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნება 132000 ლარი, ხოლო მათი მხრიდან თანხის ოდენობა განისაზღვრება 500000 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე. პროექტი დაახლოებით 1,5 წელში დასრულდება.

კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ მისასალმებელია, რაც უფრო მეტი ინვესტიცია შემოვა მუნიციპალიტეტში. ის მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ პროექტში.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

3. სხვადასხვა

დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ საფო მგელაძის ქუჩის მოსახლეობა ითხოვს დროებითი, კუსტარული სანიაღვრე არხის მოწყობას და ქუჩის მოხრეშვას.

დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ მისი დიდი სურვილია სხდომაზე მოიწვიონ ის სამსახური, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობს „ფაროსანას" შეწამვლას. მისი აზრით, სწორი წამლობით 2 წელში განადგურდა ე.წ. „ამერიკული პეპელა". ახლა კი თითქმის 8 წელია მიმდინარეობს „ფაროსანას" შეწამვლა და ეფექტი არა აქვს. მას აქვს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნული სამსახური თავს გრძნობს კომფორტულად, აქვთ ხელფასები და არ აწყობთ მწერის განადგურება. **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ შეამცირეს შესაწამლი მანქანების რაოდენობაც და თერმული ნისლით შეწამვლა ხდება არასათანადო დროს, რაც მხოლოდ მწვანე ნარგავების გახმობას იწვევს. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს კომისიის ყველა წევრი.

ელისო ჭიჭინაძემ ისაუბრა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს პროგრამა არის დასახვეწი, რადგან სოფელი ყოველთვის დაჩაგრული რჩება.

დარეჯან ბურჭულაძის დიდი თხოვნაა, შეძლებისდაგვარად გამოიყოს თანხა ბიუჯეტიდან და სოფელ აკეთის ახალგაზრდებს დაუფინანსდეთ აღნიშნული პროექტი.

ნინო მშვიდობაძემ განაცხადა, რომ ჩაჩავას ქუჩაზე აღსადგენია სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდი და იქვე მოსაწყობია სანიაღვრე არხი, რაზეც **კარლო კვიტაიშვილმა** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ ის ბევრჯერ იყო ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულ ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის მერიც არის საქმის კურსში და აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას.

გოჩა ჯანაშიას აზრით, სოფელ შუხუთში ხელოვნურ საფარიანი სტადიონის გაკეთება და ტერიტორიის გალავნით შემოსაზღვრა არის შეცდომა, რადგანაც გალავანი ხელს შეუშლის ლელოს ჩატარებას.

ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანებისთვის მუნიციპალიტეტში არის ძალიან კარგი პროგრამა, მაგრამ ყველა ბენეფიციარი ვერ სარგებლობს აღნიშნული სერვისით, რადგან მხოლოდ 84.9 კოდის მქონე პაციენტებზეა გათვლილი პროგრამა. ის მოითხოვს , რომ გადაიხედოს ეს პროგრამა და 84.0-დან 84.9-მდე ყველა პაციენტმა ისარგებლოს აღნიშნული სერვისით, ან გაუქმდეს ე.წ. ადოსის ტესტი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
დასკვნა № 7

23. 10. 2023 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში" განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხი :

„საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

წარმოდგენილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში"

განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

წარმოდგენილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა ,განათლების,კულტურისა
და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

23.10.2023 წელი
11:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	10:55	
2. ნინო მშვიდობაძე	10.57	
3. დარეჯან ბურჭულაძე	10:57	
4. ლოლიტა ურუშაძე	–	ახ ესწრებოდა
5. კარლო წილოსანი	–	ახ ესწრებოდა
6. ირმა მგელაძე	–	ახ ესწრებოდა
7. მაკა მშვიდობაძე	10:55 წუ	
8. გოჩა ჯანაშია	10:55	
9. რევაზ კვერენჩხილაძე	–	ახ ესწრებოდა
10. ელისო ჭიჭინაძე	10:50	